დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - ბექარ კილასონია

წევრები:

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი -დიმიტრი ქარსელაძე

დარგის ექსპერტი (წევრი) "კომპიუტერული ქსელი და სისტემები"- ალექსანდრე კეკენაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 234067933

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 06 ივლისის, №877232 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 28 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში (ლენტეხის მუნიციპალიტეტი; დაბა ლენტეხი; თამარ მეფის ქ.N32). დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის(1.1. კომპონენტი), გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის(3.1. კომპონენტი) , დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის(4.1. კომპონენტი) და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) 2.1., 2.2., 2.3.,2.4. კომპონენტები) კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია. ასევე ვიზიტის ფარგლებში დეტალურად განიხილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისია ხედვა ღირებულებები, შესაბამისი ოქმები, გაზიარების მექანიზმები, შემოწმდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, დაათვალიერდა პროგრამისთვის განსაზღვრული A გარემო, B-C გარემო, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2026 წლის 22 ივნისის №777911 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელ პირებთან, რამაც შესაძლებლობა მოგვცა საფუძვლიანად შეფასებულიყო პროგრამის ადმინისტრირების და განხორციელების პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ, კონსტრუქციულ და კოლეგიალურ გარემოში, რაც ხელს უწყობდა ვიზიტის მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტს თან ახლდა დაწესებულების ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოჩენილი მაღალი დონის თანამშრომლობა, რამაც ხელი შეუწყო ვიზიტის ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება**	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	☐ შეესაბამება **|** მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება **|** მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1. ექსპერტთა მიერ გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ნოემბრის ჩათვლით, უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ გათვალისწინებული მატერიალური რესურსის სრულად მობილიზება და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არსებობა, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობისა და პროგრამით;

2.2.1.3. ექსპერტთა მიერ გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ნოემბრის ჩათვლით, უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმახორციელებელი პირების პროფესიული განვითარება პროფესიული განათლების სპეციფიკის, სწავლებისა და სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით და შესაბამისი განვითარების აქტივობების დამადასტურებელი მტკიცებულებების არსებობა;

2.2.1.4. ექსპერტთა მიერ გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ნოემბრის ჩათვლით, უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული განვითარება პროფესიული განათლების სპეციფიკის, პროგრამის განხორციელების, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით და შესაბამისი განვითარების აქტივობების დამადასტურებელი მტკიცებულებების არსებობა;

2.2.1.5. ექსპერტთა მიერ გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ნოემბრის ჩათვლით, უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ გათვალისწინებული სასწავლო რესურსების სრულად მობილიზება, მათი ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით ხელმისაწვდომობა და შესაბამისი რესურსების ასახვა ბიბლიოთეკის განახლებულ კატალოგსა და ფონდში;

4.1.1.1. ექსპერტთა მიერ გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 31 მარტის ჩათვლით, უზრუნველყოს პროფესიული განათლების მიმართულებით პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, მკაფიოდ განსაზღვრა, შესაბამისი სამართლებრივი აქტით დამტკიცება და თანამშრომლებისთვის გაცნობა;

4.1.1.2. ექსპერტთა მიერ გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 31 მარტის ჩათვლით, უზრუნველყოს ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნქცია-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოვალეობების გადახედვა და პროფესიული განათლების მიმართულებით ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების ისეთი განაწილება, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ და კოორდინირებულ განხორციელებას;

4.1.2.1. ექსპერტთა მიერ გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 31 იანვრის ჩათვლით, უზრუნველყოს სკოლის შინაგანაწესის გადამუშავება და მასში თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა მიმართ მოქმედი მარეგულირებელი საკითხების მკაფიო გამიჯვნა, რათა პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის მართვის პროცესები განხორციელდეს დაწესებულების მიერ დადგენილი მკაფიო და ურთიერთშესაბამისი შიდა რეგულაციების საფუძველზე;

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის №1 საჯარო სკოლას გააზრებული აქვს პროფესიული განათლების მიმართულებით საკუთარი როლის გაფართოების საჭიროება. პროფესიული განათლების მიმართულების ინტეგრირების მიზნით, დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში გადაიხედა დაწესებულების მისია და მასში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები. აღნიშნულ პროცესს წინ უძღოდა სამუშაო ჯგუფის შექმნა, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ცვლილების შეტანა და საკითხის განხილვა სამუშაო ჯგუფის, პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს ფორმატში. განახლებული მისიის შინაარსიდან იკვეთება, რომ დაწესებულება საკუთარ როლს საგანმანათლებლო სივრცეში უკავშირებს როგორც ზოგადი, ისე პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. შესაბამისად, პროფესიული განათლება წარმოდგენილია არა როგორც სკოლის ძირითადი საქმიანობისგან განცალკევებული მიმართულება, არამედ როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო ფუნქციის შემადგენელი ნაწილი. მისიასთან თანხვედრაშია დაწესებულების სტრატეგიული განვითარების მიმართულებაც. კერძოდ, პროფესიული განათლების მიმართულების გამოკვეთის მიზნით სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია მიზანი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება. ამდენად, დაწესებულების მისია და სტრატეგიული ორიენტირი ერთობლივად ასახავს პროფესიული განათლების განხორციელების მზაობას და პროფესიული განათლების მიზნებთან შესაბამის მიმართულებას.

ინდიკატორი 1.1.1.1. შესაბამისობაშია

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;

დაწესებულების განახლებულ მისიაში იდენტიფიცირებულია სკოლის საქმიანობის ძირითადი საგანმანათლებლო მიმართულებები და მისი როლი განათლების სისტემაში. კერძოდ, მისიის ფარგლებში დაწესებულება საკუთარ პროფილს უკავშირებს როგორც ზოგადი, ისე პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფას, რითაც პროფესიული განათლების მიმართულება ინტეგრირებულია სკოლის საერთო საგანმანათლებლო საქმიანობაში.

მისიის აღნიშნული შინაარსი წარმოაჩენს დაწესებულების მახასიათებელს, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისა, რომელიც ამავდროულად გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. პროფესიული განათლების მიმართულების გამოკვეთის მიზნით განხორციელებული ცვლილება დაკავშირებულია დაწესებულების სტრატეგიულ განვითარებასთანაც სტრატეგიულ მიზნად განსაზღვრულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება.

შესაბამისად, მისია იძლევა დაწესებულების საქმიანობის პროფილის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და გამოხატავს მის როლს საგანმანათლებლო სისტემაში ზოგად განათლებასთან ერთად პროფესიული განათლების შეთავაზების მიმართულებით. სწორედ ეს მახასიათებელი არის გამოკვეთილი, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო პროფილის განმასხვავებელი ელემენტი. მისიაში გამოკვეთილია სკოლის როლი, როგორც დაწესებულებისა, სადაც შესაძლებელია როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული განათლების მიღება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 1.1.1.2. შესაბამისობაშია

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

დაწესებულებას მისიასთან კავშირში განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები. პროფესიული განათლების მიმართულების დამატებასთან დაკავშირებით დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში გადაიხედა არა მხოლოდ მისია, არამედ დაწესებულების ხედვაც. განხორციელებული ცვლილებით ხედვაში ასახულია სკოლის სამომავლო სასურველი მდგომარეობა გრძელვადიან პერსპექტივაში, რაც შეესაბამება განახლებულ მისიაში განსაზღვრულ საგანმანათლებლო მიმართულებებს, მათ შორის პროფესიული განათლების განხორციელებას.

დაწესებულებას ასევე განსაზღვრული აქვს ღირებულებები, რომლებიც, ასახავს სკოლის ძირითად ფასეულობებს და ქმნის იმ პრინციპულ საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას.

მისიის, ხედვისა და ღირებულებების ურთიერთკავშირი დასტურდება მათი გადახედვისა და ფორმირების პროცესითაც. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტების პროექტები შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ, გაზიარებული იქნა სასკოლო საზოგადოებაში, ხოლო საბოლოო ვერსიები მიღებულ იქნა სამეურვეო საბჭოს მიერ. ამდენად, ხედვა და ღირებულებები წარმოდგენილია დაწესებულების მისიისა და სამომავლო განვითარების მიმართულებების თანმიმდევრულ გაგრძელებად.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დაწესებულებაში მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმირების პროცესი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განხორციელდა. კერძოდ, მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტები შემუშავდა დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ და შემდგომ გაზიარებული იქნა სასკოლო საზოგადოებაში. საბოლოო ვერსიების ჩამოყალიბებას წინ უძღოდა საკითხების განხილვა სამუშაო ჯგუფის, პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს ფორმატში, ხოლო საბოლოო ვერსიები მიღებულ იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომის ფარგლებში. დაწესებულებამ უზრუნველყო დამტკიცებული მისიის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხედვისა და ღირებულებების საჯარო ხელმისაწვდომობაც. კერძოდ, აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში, ამასთან, განთავსებულია სკოლის ფოიეში, რაც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას როგორც სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, ისე სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

ამდენად, წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება როგორც მისიის, ხედვისა და ღირებულებების დაინტერესებული მხარეებისთვის გაზიარების პროცესი, ისე მათი საჯაროობის უზრუნველყოფა სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის გამოყენებით.

ინდიკატორი 1.1.1.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები მოქმედი/დამტკიცებული რედაქცია;
- დირექტორის №2-57 ბრძანება (08.06.2026) მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- დირექტორის №2-58 ბრძანება (08.06.2026) - სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი №1, 09.06.2026;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი №6, 10.06.2026;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №5, 12.06.2026;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი №2, 12.06.2026;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელშიც ასახულია მისია, ხედვა, ღირებულებები და პროფესიული განათლების მიმართულება;
- დირექტორის №2-62 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების მიმართულების სამოქმედო გეგმა, რომელიც ადასტურებს მისიისა და სტრატეგიული მიზნების პრაქტიკულ დაკავშირებას პროფესიულ განათლებასთან;
- სკოლის ვებგვერდი/ვებგვერდზე განთავსებული მისია, ხედვა და ღირებულებები საჯარო ხელმისაწვდომობის დასადასტურებლად;
- ინტერვიუს შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

დაწესებულებას პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით შემუშავებული აქვს შიდა მარეგულირებელი მექანიზმები. აღნიშნული საკითხები განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტისა და დაწესებულების უფლებები და ვალდებულებები, ასევე პროფესიული სტუდენტის სტატუსთან, მობილობასთან, შეფასებასთან, სწავლის შედეგების აღიარებასთან და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებასთან დაკავშირებული პროცედურები. დებულება არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებას, აღდგენასა და შეწყვეტას, გარე და შიდა მობილობას, სწავლის შედეგების შეფასებას, კვალიფიკაციის მინიჭებასა და გავლილი მოდულების/დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას. ამდენად, პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობისა და მისი სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული ძირითადი გარანტიები შიდა რეგულაციებითაა განსაზღვრული.

პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური ინტერესების დაცვის დამატებით მექანიზმად დებულება ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას იმ შემთხვევებში, როდესაც პროფესიული სტუდენტის სწავლება სტანდარტული სასწავლო გეგმის მიხედვით ვერ ხორციელდება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ორიენტირებულია სტუდენტის კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე.

ამასთან, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში, რომელშიც, ასახულია პროფესიული სტუდენტის კანონით გათვალისწინებული უფლებები, კანონიერი ინტერესები და დაწესებულების შესაბამისი ვალდებულებები. ხელშეკრულების ფორმა ასევე ითვალისწინებს არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკას.

შესაბამისად, წარმოდგენილი შიდა რეგულაციები ქმნის პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ძირითად სამართლებრივ და პროცედურულ გარანტიებს.

ინდიკატორი 3.1.1.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტებისთვის მათი უფლებების, ვალდებულებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების გაცნობის პროცედურები. კერძოდ, პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე დაგეგმილია საორიენტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება, რომელთა ორგანიზებაზე პასუხისმგებელია პროფესიული განათლების კოორდინატორი. შეხვედრების მიზანია პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია და მათთვის სასწავლო პროცესთან, დაწესებულებასთან ურთიერთობასა და მათ უფლებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით დაწესებულებას პირდაპირ აქვს განსაზღვრული ვალდებულება, უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის მიერ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების გაცნობა და ამ უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა, მათ შორის დამატებითი შეფასების მექანიზმის გამოყენება. ამავე დებულებით პროფესიულ სტუდენტს მინიჭებული აქვს შესაბამისი უფლებები სასწავლო პროცესის ფარგლებში, მათ შორის შეფასების, დამატებითი შეფასების, მობილობისა და სხვა კანონით გათვალისწინებული მექანიზმებით სარგებლობის შესაძლებლობა.

პროფესიული სტუდენტის ინფორმირების დამატებით მექანიზმს წარმოადგენს დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს/მის კანონიერ წარმომადგენელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია პროფესიული სტუდენტის უფლებები, კანონიერი ინტერესები და დაწესებულების ვალდებულებები.

ამ ეტაპზე სკოლას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ჯერ არ დაუწყია და შესაბამისად, პროფესიული სტუდენტების მიერ აღნიშნული მექანიზმების ფაქტობრივი გამოყენების შემთხვევები ვერ იქნება წარმოდგენილი. თუმცა დაწესებულებას წინასწარ აქვს განსაზღვრული როგორც სტუდენტთა ინფორმირების, ასევე მათი უფლებებით სარგებლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარეგულირებელი მექანიზმები და პასუხისმგებელი პირები, რაც პროგრამის განხორციელების დაწყებისთანავე მათი გამოყენების შესაძლებლობას ქმნის

ინდიკატორი 3.1.1.2 შესაბამისობაშია

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

დაწესებულებას პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის შესახებ ინფორმირებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი შიდა რეგულაციით განსაზღვრული აქვს. დირექტორის №2-59 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ პროფესიული განათლების მასწავლებელს ევალება მოდულის დაწყებისთანავე პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შეფასებასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპების სწავლის შედეგის, შეფასების მიმართულების, შეფასების ხანგრძლივობისა და სხვა პირობების შესახებ. ამასთან, შეფასების ჩატარებამდე გონივრული ვადით ადრე მასწავლებელი სტუდენტებს აცნობს შეფასების ინსტრუმენტს, დანართების გარეშე. დებულებით ასევე განსაზღვრულია შეფასების შედეგების პროფესიული სტუდენტისთვის გაცნობის წესი. შეფასების შედეგები სტუდენტს უნდა ეცნობოს შეფასების განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო პროფესიული განათლების კოორდინატორი ან მოდულის განმახორციელებელი პირი შედეგებს პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალურად, წერილობითი ან ზეპირი ფორმით აცნობს. პროფესიულ სტუდენტს ასევე ეძლევა შესრულებულ სამუშაოზე ინდივიდუალური უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა, პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპის გათვალისწინებით.

შეფასების პროცესისა და შედეგების გასაჩივრების პროცედურა დეტალურად არის გაწერილი დებულების 39.6 პუნქტში. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს როგორც შეფასების პროცესის მიმდინარეობა, ისე მიღებული შედეგი. შეფასების პროცესის მიმდინარეობის გასაჩივრების შემთხვევაში სტუდენტი შეფასებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს დირექტორს, ხოლო შეფასების შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. საჩივრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში დირექტორი ქმნის სააპელაციო კომისიას, რომლის შემადგენლობაში სავალდებულოდ შედის შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი/სპეციალისტი, რომელიც გასაჩივრებულ შეფასებაში არ მონაწილეობდა.

სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეისწავლოს შეფასების მასალები და მიიღოს გადაწყვეტილება შეფასების შედეგის ძალაში დატოვების, შეცვლის ან შეფასების პროცესის განმეორებით ჩატარების შესახებ. მიღებული გადაწყვეტილება პროფესიულ სტუდენტს წერილობით ეცნობება ერთი სამუშაო დღის ვადაში; განმეორებითი შეფასების დანიშვნის შემთხვევაში პროცესი ორგანიზდება ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებას პროფესიული განათლების კოორდინატორი უზრუნველყოფს. შესაბამისად დაწესებულებას წინასწარ აქვს განსაზღვრული სტუდენტთა ინფორმირების, შეფასების შედეგების გაცნობისა და მათი გასაჩივრების მკაფიო პროცედურები, პასუხისმგებელი პირები და ვადები.

ინდიკატორი 3.1.1.3 შესაბამისობაშია

4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთან სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით განსაზღვრული აქვს ხელშეკრულების გაფორმების წესი. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ მიხედვით, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შემდეგ დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც მოქმედებს სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში.

დებულებით განსაზღვრულია ხელშეკრულების ძირითადი შინაარსიც. კერძოდ, პროგრამის დასახელებას, მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, საჭიროების შემთხვევაში სწავლის საფასურსა და გადახდის პირობებს, იმ სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს, რომელთა დაცვაც პროფესიულ სტუდენტს ევალება, ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და მისი შეწყვეტის წესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული პირობები ქმნის პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სამართლებრივ საფუძველს და ამავდროულად უზრუნველყოფს მხარეთა ურთიერთვალდებულებების წინასწარ განსაზღვრას. დებულებაში ცალკე არის გათვალისწინებული არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკაც. კერძოდ, სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში ხელშეკრულებას ხელს აწერს თავად სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი ან სსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში, რომელშიც ასახულია პროფესიული სტუდენტის კანონით გათვალისწინებული უფლებები, კანონიერი ინტერესები და დაწესებულების ვალდებულებები. დაწესებულებას დადგენილი აქვს ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა, მისი აუცილებელი შინაარსი და არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკა.

ინდიკატორი 3.1.1.4 შესაბამისობაშია

5.დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულებაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების წესი განსაზღვრულია სკოლის დირექტორის №2-59 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავდება იმ შემთხვევებში, როდესაც პროფესიული სტუდენტის სწავლება სტანდარტული სასწავლო გეგმით შეუძლებელია, მათ შორის პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას, შიდა ან გარე მობილობისას, ფორმალური ან არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას, ასევე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობის შემთხვევაში. დებულებით განსაზღვრულია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტისათვის შეიმუშავებს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ან პროფესიული განათლების კოორდინატორი პროგრამის ხელმძღვანელთან ან თანახელმძღვანელთან ერთად. გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს თავად პროფესიული სტუდენტი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პროფესიული განათლების შესაბამისი მასწავლებლები. სსსმ ან შშმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში პროცესში ერთვება შესაბამისი სპეციალისტიც, რათა გეგმა მაქსიმალურად იყოს მორგებული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებებზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი პროფესიულ სტუდენტთან ან მის კანონიერ წარმომადგენელთან უნდა შეთანხმდეს. შეთანხმების დამადასტურებელ მტკიცებულებასთან ერთად გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება სკოლის დირექტორს. აღნიშნული პროცედურა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მისი ინტერესების გათვალისწინებას. თუ დაწესებულება და პროფესიული სტუდენტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე ვერ შეთანხმდებიან, დებულებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შიდა ან გარე მობილობით სარგებლობის შესაძლებლობა. ვინაიდან დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ჯერ არ დაუწყია და პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ფაქტობრივი შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა ამ ეტაპზე ვერ შეფასდება. თუმცა დაწესებულების შიდა რეგულაციით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, პროფესიული სტუდენტის ჩართულობის, შეთანხმებისა და დამტკიცების შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- დირექტორის №2-59 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში სტუდენტის უფლებების, კანონიერი ინტერესებისა და დაწესებულების ვალდებულებების დასადასტურებლად, მათ შორის არასრულწლოვანთან ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკის გათვალისწინებით;
- დირექტორის №2-60 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების კოორდინატორის სამუშაო აღწერილობა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

დაწესებულებას პროფესიული განათლების მიმართულებით განსაზღვრული აქვს შესაბამისი პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები. კერძოდ, დირექტორის 2026 წლის 8 ივნისის №2-60 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის სამუშაო აღწერილობები, რომლებითაც ცალკეული პოზიციების მიხედვით განსაზღვრულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები. სამუშაო აღწერილობები შემუშავებულია პროფესიული განათლების კოორდინატორის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, რეესტრის სპეციალისტის, პროფესიული განათლების მიზნებისთვის შესყიდვების სპეციალისტის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. შესაბამისად, დოკუმენტურად იკვეთება პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის ადმინისტრირების, ხარისხის უზრუნველყოფის, რეესტრის წარმოების, რესურსების მართვის, პროგრამის ხელმძღვანელობისა და სწავლების ფუნქციებზე პასუხისმგებელი პირები. თვითშეფასების ანგარიშშიც დაწესებულება მიუთითებს, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებული პირებისთვის შემუშავებულ სამუშაო აღწერილობებში გაწერილია მათი ფუნქცია-მოვალეობები. თუმცა, წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესწავლით იკვეთება, რომ დაწესებულება მოქმედ მდგომარეობას ჯერ კიდევ საჭიროებს გაუმჯობესებას. გეგმაში იდენტიფიცირებულ პრობლემად მითითებულია, რომ სტრუქტურაში არსებული პოზიციების ფუნქცია-მოვალეობებში არ არის ინტეგრირებული პროფესიული განათლების მიმართულება. შესაბამისად, მიუხედავად პროფესიული განათლების მიმართულებით ცალკე სამუშაო აღწერილობების არსებობისა, დაწესებულება თავად ხედავს საჭიროებას, რომ არსებული ფუნქციები გადაიხედოს და პროფესიული განათლების მიმართულების გათვალისწინებით უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს. დაწესებულებამ 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის შესაბამისად, უზრუნველყოს პროფესიული განათლების მიმართულებით შესაბამისი პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა და მკაფიოდ განსაზღვრა, მათი სათანადო განაწილება თანამშრომელთა ჩართულობით და განახლებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისი პირებისთვის გაცნობა, რაც დადასტურდება განახლებული ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტებითა და შესაბამისი ხელშეკრულებებით/შეთანხმებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4.1.1.1 ნაწილობრივ შესაბამისობაშია

2.დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

დაწესებულებას პროფესიული განათლების მიმართულებით განსაზღვრული აქვს პროგრამის განხორციელებაში ჩართული შესაბამისი პირები და მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები. დირექტორის 2026 წლის 8 ივნისის №2-60 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობები მოიცავს პროფესიული განათლების კოორდინატორის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, რეესტრის სპეციალისტის, შესყიდვების სპეციალისტის, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქციებს. სამუშაო აღწერილობების მიხედვით, პროფესიული განათლების მიმართულებით მიმდინარე პროცესები ფუნქციურად ნაწილდება სხვადასხვა პასუხისმგებელ პირს შორის. მაგალითად, პროფესიული განათლების კოორდინატორს განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების ფარგლებში მიმდინარე პროცესების კოორდინირების ფუნქცია, ხოლო სხვა პასუხისმგებელ პირებზე განაწილებულია ხარისხის უზრუნველყოფის, რეესტრის წარმოების, შესყიდვების, პროგრამის ხელმძღვანელობისა და სასწავლო პროცესის უშუალოდ განხორციელების ფუნქციები. აღნიშნული ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მართვისათვის საჭირო ფუნქციური განაწილების საწყის საფუძველს.თუმცა, ამ ინდიკატორის შეფასებისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცალკეულ პირთა სამუშაო აღწერილობების არსებობა, არამედ ისიც, რამდენად არის მათი ფუნქციები და პასუხისმგებლობები ინტეგრირებული დაწესებულების მოქმედ ორგანიზაციულ სტრუქტურაში და ერთმანეთთან ისე განაწილებული, რომ უზრუნველყოფდეს პროფესიული განათლების მიმართულებით ძირითადი საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებას. ამ კუთხით თვითშეფასების ანგარიშში თავად დაწესებულება მიუთითებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით გეგმავს სკოლის სტრუქტურაში არსებული პოზიციების ფუნქცია-მოვალეობებში პროფესიული განათლების მიმართულების ინტეგრირებას/გადანაწილებას. ასევე აღნიშნულია, რომ გადაიხედება ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქცია-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოვალეობები პროფესიულ განათლებასთან მიმართებით. აღნიშნული ჩანაწერი ადასტურებს, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით ფუნქციების საბოლოო განაწილება დაწესებულების ერთიან ორგანიზაციულ მოწყობაში ჯერ დასრულებული არ არის. დაწესებულებამ 2026 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით უზრუნველყოს მოქმედი ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და პროფესიული განათლების მიმართულებით განსახორციელებელი ფუნქციების მასში სათანადო ასახვა, ხოლო 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პროფესიული განათლების მიმართულებით ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების შესაბამის პირებს შორის გადანაწილება, რათა ორგანიზაციულმა მოწყობამ და პასუხისმგებლობების განაწილებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი პროცესების ეფექტიანი და შეუფერხებელი განხორციელება.

ინდიკატორი 4.1.1.2 ნაწილობრივ შესაბამისობაშია

3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დდახწარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციები განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს. აღნიშნული პოზიციის ფუნქცია-მოვალეობები დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 8 ივნისის №2-60 ბრძანებით. სამუშაო აღწერილობის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ძირითადი ფუნქციებია დაწესებულების საქმიანობის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, თვითშეფასების პროცესის კოორდინირება, ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმისა და ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობა, დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგის მექანიზმებისა და ინსტრუმენტების შემუშავება, მონიტორინგის შედეგების ანალიზი და გაუმჯობესების რეკომენდაციების მომზადება. ამავე სამუშაო აღწერილობით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეკისრება სასწავლო პროცესის ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმების გამოყენება, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის პროცესის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. ასევე, მისი საქმიანობა მოიცავს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კონსულტირებას, დამსაქმებელთა, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევების დაგეგმვასა და შედეგების ანალიზს. ფუნქციების შინაარსობრივი ანალიზით იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის საქმიანობა ძირითადად არის მონიტორინგის, შეფასების, ანალიზისა და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებაზე ორიენტირებული, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უშუალო ადმინისტრირების, სწავლებისა და სხვა საოპერაციო პროცესების განხორციელება სხვა პასუხისმგებელ პირებზეა განაწილებული. შესაბამისად, წარმოდგენილი სამუშაო აღწერილობების დონეზე არ იკვეთება ისეთი ფუნქციების ერთ პირზე თავმოყრა, რომლის ფარგლებშიც ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს მოუწევდა მის მიერ უშუალოდ განხორციელებული პროცესის დამოუკიდებლად შეფასება. აღნიშნულს შეესაბამება თვითშეფასების ანგარიშში დაწესებულების მიერ დაფიქსირებული გარემოებაც, რომლის მიხედვითაც დასაქმებულ პირებს შორის ფუნქცია-მოვალეობების განაწილება ინტერესთა კონფლიქტს არ იწვევს. ამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში ცალკეული გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებულია ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის პრინციპიც. მაგალითად, განმეორებითი შეფასების ორგანიზებისას პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ პროცესი უნდა განხორციელდეს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით, ხოლო ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული კომისიის წევრს ეკისრება ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში თვითაცილების ვალდებულება.

ინდიკატორი 4.1.1.3 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- დირექტორის №2-60 ბრძანება, 08.06.2026, პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ;
- დაწესებულების მოქმედი ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი დამტკიცების შესაბამისი აქტი - სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ორგანიზაციული გამიჯვნის დასადასტურებლად;
- დირექტორის №2-64 ბრძანება, 18.06.2026, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების შესახებ;
- დირექტორის №2-66 ბრძანებით, 18.06.2026, დამტკიცებული პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;

დაწესებულებაში პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის მართვის პროცესების მოწესრიგების მიზნით შემუშავებულია შესაბამისი შიდა მარეგულირებელი მექანიზმი. კერძოდ, სკოლის დირექტორის 2026 წლის 8 ივნისის №2-61 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის მართვის პოლიტიკა“, რომელიც,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების განმარტებით, მოიცავს პერსონალის შერჩევის, დასაქმებისა და შენარჩუნების პრინციპებს და პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს. ამასთან, პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია დირექტორის 2026 წლის 8 ივნისის №2-60 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობებით. დაწესებულება თვითშეფასების ანგარიშში თავად აფიქსირებს გაუმჯობესების საჭიროებას და მიუთითებს, რომ სკოლის შინაგანაწესი ექვემდებარება გადამუშავებას თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა მარეგულირებელი საკითხების გამიჯვნის მიზნით. აღნიშნული საჭიროების აღმოსაფხვრელად დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში კონკრეტულად ამ ინდიკატორს უკავშირდება შინაგანაწესის დოკუმენტის გადამუშავება, თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა თაობაზე მარეგულირებელი საკითხების გამიჯვნის მიზნით. აქტივობის განხორციელება განსაზღვრულია 2026 წლის ოქტომბრიდან 2027 წლის იანვრის ჩათვლით. შესაბამისად, დაწესებულებას აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის სამუშაო აღწერილობები, თუმცა პერსონალის მართვის პროცესთან უშუალოდ დაკავშირებული ერთ-ერთი ძირითადი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი "შინაგანაწესი" ჯერ კიდევ საჭიროებს გადამუშავებას და შესაბამისობაში მოყვანას.

ამდენად, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს პერსონალის მართვის პროცესის მარეგულირებელი საფუძვლის არსებობას, თუმცა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, ამ ეტაპზე შიდა რეგულირების სისტემა სრულად დასრულებული არ არის. დაწესებულებამ 2027 წლის 31 იანვრის ჩათვლით, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ა.გ. აქტივობის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოლის შინაგანაწესის გადამუშავება და მასში თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა მიმართ მოქმედი მარეგულირებელი საკითხების მკაფიო გამიჯვნა, რათა პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის მართვის პროცესები განხორციელდეს დაწესებულების მიერ დადგენილი ერთიანი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მკაფიო და ურთიერთშესაბამისი შიდა რეგულაციების საფუძველზე

ინდიკატორი 4.1.2.1 ნაწილობრივ შესაბამისობაშია

2.დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

დაწესებულებაში პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის შერჩევისა და დასაქმების საკითხები რეგულირდება დირექტორის 2026 წლის 8 ივნისის №2-61 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის მართვის პოლიტიკით“. აღნიშნული დოკუმენტით დეკლარირებულია, რომ პერსონალის მართვისას დაწესებულება ხელმძღვანელობს სამართლიანობის, გამჭვირვალობის, თანაბარი შესაძლებლობებისა და თანასწორობის პრინციპებით და აღნიშნული პრინციპების დაცვა ვრცელდება თანამშრომელთა შერჩევის პროცესზეც. ამავე პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებული საკითხები. პერსონალის შერჩევის პროცესს უკავშირდება ასევე დირექტორის №2-60 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის სამუშაო აღწერილობები. სამუშაო აღწერილობებით ცალკეული პოზიციებისთვის განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები, რაც პერსონალის შერჩევისას ქმნის წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს კანდიდატის განათლების, პროფესიული გამოცდილებისა და სხვა შესაბამისი მოთხოვნების პოზიციასთან შესადარებლად. №2-60 ბრძანებით სამუშაო აღწერილობები სწორედ საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ფუნქცია-მოვალეობების ერთობლიობის სახით არის დამტკიცებული. ამასთან, ფუნქციების განაწილებიდან იკვეთება შერჩევის პროცესში სხვადასხვა პასუხისმგებელი პირის ჩართულობაც. კერძოდ, პროფესიული განათლების კოორდინატორის ფუნქციებში გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის პროცესში მონაწილეობა, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციებში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის პროცესის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული ფუნქციური განაწილება დამატებით ქმნის შერჩევის პროცესის შეფასებისა და კონტროლის შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამდენად, განსაზღვრულია როგორც პერსონალის შერჩევისას დასაცავი ძირითადი პრინციპები სამართლიანობა, გამჭვირვალობა, თანაბარი შესაძლებლობები და თანასწორობა ასევე კონკრეტული პოზიციებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შერჩევის პროცესში პასუხისმგებელი პირების ფუნქციები. აღნიშნული მექანიზმების ერთობლიობა ქმნის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მოზიდვისა და დასაქმებისათვის ობიექტურ და გამჭვირვალე საფუძველს

ინდიკატორი 4.1.2.2 შესაბამისობაშია

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

დაწესებულებას პროფესიული განათლების მიმართულებით განსაზღვრული აქვს ცალკეული პოზიციებისთვის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კერძოდ, დირექტორის 2026 წლის 8 ივნისის №2-60 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობები მოიცავს როგორც პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებს, ასევე თითოეული პოზიციისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სამუშაო აღწერილობებში მოთხოვნები დიფერენცირებულია შესაბამისი პოზიციის ფუნქციების გათვალისწინებით. მაგალითად, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისთვის განსაზღვრულია არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და სასურველად მიჩნეულია ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული შესაბამისი რეგულაციების ცოდნა. სხვა პოზიციებისთვის მოთხოვნები მოიცავს შესაბამის განათლებას, პროფესიულ გამოცდილებას, პროფესიული განათლების ადმინისტრირებასთან ან საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-განხორციელებასთან დაკავშირებულ ცოდნას, კომპიუტერულ და საკომუნიკაციო უნარებს. ცალკეული პროფესიული მიმართულების პერსონალისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი მიმართულების პროფესიული განათლება, შესაბამის სფეროში სამუშაო გამოცდილება ან შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიცირება. პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ სამუშაო აღწერილობებით მათთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია დაცულია თანამშრომელთა პირად საქმეებში და მოიცავს შესაბამისი განათლების, კვალიფიკაციისა და სხვა მოთხოვნების დამადასტურებელ დოკუმენტებს. ამდენად, დაწესებულებას გააჩნია მექანიზმი, რომლის საფუძველზეც კონკრეტული პოზიციისთვის წინასწარ არის განსაზღვრული საჭირო კვალიფიკაცია, ხოლო შესაბამისობის დასადგენად გამოიყენება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომელთა პირად საქმეებში დაცული განათლების, სამუშაო გამოცდილებისა და სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად, პერსონალის კვალიფიკაციის დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის შეფასება ეფუძნება სამუშაო აღწერილობით დადგენილი მოთხოვნებისა და კონკრეტული თანამშრომლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ურთიერთშედარებას.

ინდიკატორი 4.1.2.3 შესაბამისობაშია

4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დაწესებულებაში პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის მართვის საკითხები რეგულირდება დირექტორის 2026 წლის 8 ივნისის №2-61 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის მართვის პოლიტიკით“. აღნიშნული პოლიტიკა პერსონალის მართვისა და განვითარების პროცესში ითვალისწინებს მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების გამოყენებას. მონაწილეობითი მართვის პრინციპის პრაქტიკული გამოხატულების დასადასტურებლად შეიძლება ჩაითვალოს სამოქმედო გეგმაში სხვადასხვა პოზიციის მქონე თანამშრომლების პასუხისმგებელ და შემსრულებელ პირებად ჩართულობაც, მათ შორის მათი საქმიანობის კოორდინაციაც. ასევე დაწესებულებაში სამუშაო ჯგუფების შექმნა და ჯგუფის წევრების მიერ შესაბამისი საკითხების ერთობლივად დამუშავება.

პროფესიული განათლების კოორდინატორის სამუშაო აღწერილობაც ითვალისწინებს პროფესიული განათლების ფარგლებში მიმდინარე პროცესების კოორდინაციას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მხარდაჭერის მიზნით სამოქმედო გეგმის შექმნასა და მის საფუძველზე შესაბამისი აქტივობების ორგანიზება-განხორციელებაში მონაწილეობას. აღნიშნული ფუნქციები ქმნის საფუძველს, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით მიმდინარე პროცესები არ ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთი პირის გადაწყვეტილებებს და განხორციელდეს შესაბამისი პერსონალის კოორდინირებული ჩართულობით.

ასევე, პერსონალის განვითარების მიმართულებით სამუშაო აღწერილობებში გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა/კოორდინაცია, მეთოდოლოგიური მხარდაჭერა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახალი მასწავლებლების სამუშაო გარემოში ინტეგრაციის ხელშეწყობა, რაც პერსონალის მართვაში თანამშრომლობითი და მხარდაჭერაზე ორიენტირებული მიდგომის არსებობას დამატებით ადასტურებს.

ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკაში დეკლარირებული მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები ასახულია როგორც პასუხისმგებლობების განაწილებისა და თანამშრომელთა კოორდინირებული ჩართულობის, ისე სამუშაო ჯგუფების შექმნისა და პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მექანიზმებში

ინდიკატორი 4.1.2.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- დირექტორის №2-61 ბრძანება, 08.06.2026 პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- დაწესებულების მოქმედი შინაგანაწესი;
- დირექტორის №2-64 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- დირექტორის №2-60 ბრძანება, 08.06.2026, პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ;
- პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებული პირების პირადი საქმეები, მათ შორის განათლების, კვალიფიკაციის, სამუშაო გამოცდილებისა და შესაბამისი სერტიფიკატების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- დაწესებულების სამოქმედო გეგმა, იმ ნაწილში, სადაც განსაზღვრულია პერსონალის პასუხისმგებელ და შემსრულებელ პირებად ჩართულობა და მათი კოორდინაცია;
- სამუშაო ჯგუფების შექმნის ბრძანებები და შესაბამისი სხდომის ოქმები/შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტები, მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპის ფაქტობრივი განხორციელების დასადასტურებლად;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა).

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელები და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში; Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems;
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სკოლის დირექტორის 2026 წლის 18 ივნისის N 2-65 ბრძანება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ლენტეხის მუნიციპალიტეტი; დაბა ლენტეხი; თამარ მეფის ქ.N32
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	----------
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	- 20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	- 20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	- 117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	- 87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	- 147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	- 117

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელების შესახებ დაკავშირებულია როგორც დაწესებულების მისია-სტრატეგიულ მიმართულებებთან, ისე პროფესიული განათლების დანერგვის შესახებ დაწესებულების მიერ იდენტიფიცირებულ საჭიროებასთან. სკოლის მისიაში პროფესიული განათლების მიმართულება უკვე ინტეგრირებულია და დეკლარირებულია დაწესებულების მზაობა პროფესიული განათლების განხორციელებისთვის. ასევე დასტურდება, რომ პროფესიული განათლების მიმართულების გამოკვეთის მიზნით მისიაში განხორციელდა შესაბამისი ცვლილება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელება დაკავშირებულია ასევე დაწესებულების სტრატეგიული განვითარების მიმართულებებთან. შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში დამატებულია სტრატეგიული მიზანი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება. შესაბამისად, პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ინსტიტუციურ დონეზე თავსებადია როგორც მისიასთან, ისე დაწესებულების გრძელვადიან სტრატეგიულ პრიორიტეტთან.

პროგრამის შინაარსიც შეესაბამება აღნიშნულ მიმართულებას. „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ წარმოადგენს მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების მომზადება. პროგრამით გათვალისწინებულია კომპიუტერული ქსელების, სერვერული სისტემების, Linux/Windows გარემოს, კომუტაცია-მარშუტიზაციის, Cloud პლატფორმებისა და ტექნიკური მხარდაჭერის შესაბამისი კომპეტენციების განვითარება. დაწესებულებამ სწავლის მსურველთა ინტერესის იდენტიფიცირების მიზნით ჩაატარა პირდაპირი ინტერვიუები და მიღებული შედეგებით გამოიკვეთა ინტერესი სწორედ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ მიმართულების მიმართ.

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები პროგრამის განხორციელების ფორმის გათვალისწინებით. კერძოდ, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო ინტეგრირებული პროგრამისთვის საბაზო განათლება. აღნიშნული წინაპირობები ქმნის იმ მინიმალურ საგანმანათლებლო საფუძველს, რომელიც შესაბამისი ტრაექტორიით პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების პროგრამის დადგენილ ვადაში მიღწევისთვის არის საჭირო. პროგრამაზე მიღების, რეგისტრაციის, შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები დეტალურად არის განსაზღვრული დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით. დებულების მიხედვით, პროგრამაზე მიღება ცხადდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლითაც განისაზღვრება პროგრამა, აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის ვადები და მისაღები ადგილების რაოდენობა. რეგისტრაციის ეტაპზე გათვალისწინებულია აპლიკანტის მიერ პროგრამაზე დაშვების წინაპირობის დაკმაყოფილების შემოწმება და შესაბამისი მონაცემების პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა.

დებულებით ასევე რეგულირდება აპლიკანტთა შერჩევის პროცესი. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე რეგისტრირებული დაწესებულების მოსწავლეების რაოდენობა არ აჭარბებს გამოცხადებული ადგილების რაოდენობას, ისინი სარგებლობენ უპირობოდ ჩარიცხვის უფლებით; ხოლო რაოდენობის გადაჭარბების შემთხვევაში შერჩევა ხორციელდება ტესტირების ან/და გასაუბრების საფუძველზე, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე სხვა დაინტერესებული პირების მიღების შემთხვევაშიც ანალოგიურად გამოიყენება რაოდენობის გათვალისწინებით უპირობო ჩარიცხვის ან ტესტირების/გასაუბრების მექანიზმი. დებულება ცალკე ითვალისწინებს სსსმ პირების ჩარიცხვასაც კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩარიცხვის პროცედურა სრულდება დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებითა და ინფორმაციის პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვით.

ამდენად, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პროგრამის ორივე განხორციელების ფორმისთვის განსაზღვრულია შესაბამისი განათლების დონეზე დაფუძნებული დაშვების წინაპირობა, ხოლო აპლიკანტთა რეგისტრაციის, საჭიროების შემთხვევაში შერჩევისა და საბოლოო ჩარიცხვის პროცედურები შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით არის მოწესრიგებული. აღნიშნული მექანიზმები ერთობლიობაში უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამის სპეციფიკისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით დადგენილ საწყის საგანმანათლებლო მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი რეგულირდება დირექტორის №2-59 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“, რომლის მე -10 თავი ეთმობა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას. მეთოდოლოგიის თანახმად, ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოებში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობები, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსები.

მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს სასწავლო გარემოების გამტარუნარიანობას, ორ ცვლაში სწავლების შესაძლებლობას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვას, ერთი და იმავე გარემოს რამდენიმე პროგრამისათვის გამოყენების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევას, ასევე რესურსების საკმარისობის პრინციპს. კონკრეტულ პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილების საფუძვლად განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფის ანგარიში/პროფესიულ სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დასაბუთება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 20 პროფესიული სტუდენტით. ამავე საერთო ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ინტეგრირებული სასწავლო გეგმისთვისაც მითითებულია 20 პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად, საუბარია პროგრამისთვის მოთხოვნილ საერთო 20-ადგილიან კვოტაზე და არა ინტეგრირებული და არაინტეგრირებული ფორმებისთვის დამატებით 20-20 ადგილზე. დაწესებულებამ ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას შეაფასა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო გარემოს შესაძლებლობები. კერძოდ, შესაბამისი გარემო გათვლილია 10 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო აუდიტორიების გამოყენება შესაძლებელია ორ ცვლაში, რის საფუძველზეც პროგრამისთვის განსაზღვრულია 20 პროფესიული სტუდენტის კვოტა. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინტეგრირებული მოდულის განხორციელებისთვის დათმობილია შესაბამისი კაბინეტები, ასევე ხელმისაწვდომია ციფრული ლაბორატორია. ამასთან, დაწესებულების მეთოდოლოგია ზღვრული რაოდენობის დასაბუთებისას მხოლოდ ფიზიკური ადგილების რაოდენობით არ შემოიფარგლება და დამატებით ითვალისწინებს მასწავლებელთა რაოდენობასა და დატვირთვას, ბიბლიოთეკის რესურსს, პროგრამის მოთხოვნადობას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების შესაძლებლობასა და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. აღნიშნული მიდგომა ქმნის ზღვრული რაოდენობის კომპლექსურად განსაზღვრის საფუძველს.

ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულია როგორც მატერიალური, ისე საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც პროგრამის დანართების სახით წარმოადგენს დამტკიცებული პროგრამის შემადგენელ ნაწილს. კერძოდ, პროგრამას თან ერთვის დანართი №25 - სასწავლო რესურსი და დანართი №26 - მატერიალური რესურსი. თვითშეფასების ანგარიშშიც აღნიშნულია, რომ პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი ეფუძნება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტითა და მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დანართი №25-ში სასწავლო რესურსები გაწერილია მოდულების მიხედვით და მოიცავს როგორც ზოგად და ინტეგრირებულ, ისე პროფესიულ მოდულებს. ინტეგრირებული მოდულებისთვის წარმოდგენილია შესაბამისი სახელმძღვანელოები, გზამკვლევები და ელექტრონული რესურსები. მაგალითად, „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“ მოდულისთვის გათვალისწინებულია სახელმძღვანელოები, ინტეგრირებული მოდულის გზამკვლევი და შესაბამისი ელექტრონული სასწავლო გარემოს რესურსი. პროფესიული მოდულებისთვის განსაზღვრული რესურსებიც უკავშირდება მოდულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ კომპეტენციებს. მაგალითად, „მობილური და Linux ოპერაციული სისტემების“ მოდულისთვის გათვალისწინებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის, კომპიუტერული ქსელების, ვირტუალიზაციისა და Ubuntu Linux-ის შესაბამისი სასწავლო მასალები. „პრაქტიკული პროექტი - კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ასევე უზრუნველყოფილია Windows სისტემების ადმინისტრირებასთან და შესაბამის ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რესურსებით. სასწავლო რესურსების დანართის დეტალური შესწავლით იკვეთება, რომ რესურსი განსაზღვრულია პროგრამის შემადგენელი პროფესიული მოდულებისათვის, მათ შორის კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის, ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების, უსაფრთხოებისა და პრობლემების აღმოფხვრის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მობილური და Linux ოპერაციული სისტემების, კომუტაცია-მარშრუტიზაციის, Linux და Windows სერვერული სისტემების, კომპიუტერული ქსელის სტრუქტურისა და აგების, ქსელური სერვისების, დამისამართებისა და პრაქტიკული პროექტის მიმართულებებით. მაგალითად, „კომპიუტერული ქსელის სტრუქტურა და აგების პრინციპები“ უზრუნველყოფილია ქსელის ადმინისტრირების, WAN ტექნოლოგიების, კომპიუტერული ქსელებისა და ქსელის აგების პრინციპებთან დაკავშირებული რესურსებით. ამასთან, პროგრამით განსაზღვრული მატერიალური რესურსის დანართი №26 მოიცავს იმ ტექნიკურ საშუალებებსა და აღჭურვილობას, რომლებიც საჭიროა პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მისაღწევად. შესაბამისად, პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებულია არა მხოლოდ თეორიული სასწავლო მასალა, არამედ იმიტირებულ სასწავლო გარემოში პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავებისთვის საჭირო შესაბამისი ტექნიკური რესურსიც.

ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულს

ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის სკოლის დირექტორის მიერ. პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება გამომდინარეობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდებიდან და დაწესებულების მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების განხორციელების დებულებიდან“. აღნიშნული სამართლებრივი და შიდა მარეგულირებელი საფუძვლების შესაბამისად პროგრამის დამტკიცება სკოლის დირექტორის უფლებამოსილებას განეკუთვნება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 18 ივნისის №2-65 ბრძანებით (2026 წლის 29 ივლისის №2-71 ბრძანებით ცვლილება შევიდა №2-65 ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამაში და ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა პროგრამის დანართი №27 - ადამიანური რესურსი) შესაბამისად, პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები იდენტიფიცირებადია როგორც თავად პროგრამაში, ისე თვითშეფასების ანგარიშში. პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცესი ხორციელდება უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამის სახელწოდებაა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (Computer Network and Systems). ამავე სახელწოდებისაა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი, რომლის საფუძველზეც პროგრამაა შემუშავებული სარეგისტრაციო ნომერი 06.2.1. პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაც განსაზღვრულია როგორც საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში. პროგრამის სახელწოდების შინაარსთან შესაბამისობა დასტურდება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგებით. კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს პერსონალური კომპიუტერისა და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული და პროგრამული მხარდაჭერა, მობილურ და Linux ოპერაციულ სისტემებთან მუშაობა, მცირე და საშუალო ზომის კომპიუტერული ქსელის მონტაჟი და გამართვა, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი/გამართვა და კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგიის ბაზისური გამართვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის მოდულური სტრუქტურაც პირდაპირ უკავშირდება კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების მიმართულებას. პროფესიულ მოდულებში წარმოდგენილია, მათ შორის, კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა, კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები, მობილური და Linux ოპერაციული სისტემები, ბაზისური კომუტაცია და მარშრუტიზაცია, Linux და Windows სერვერული სისტემები, კომპიუტერული ქსელის სტრუქტურა და აგების პრინციპები და ქსელური სერვისების გამართვა. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება მკაფიოდ ასახავს როგორც პროგრამის პროფესიულ მიმართულებას, ისე მისაღწევ კომპეტენციებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება მისი შემუშავების საფუძველ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს, პროგრამის შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.1.7. შესაბამისობაშია

8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე იკვეთება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, სარეგისტრაციო №06.2.1 საფუძველზე. პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის დონე, მიზანი, დაშვების წინაპირობები და მისაღწევი სწავლის შედეგები. პროგრამა შემუშავებულია როგორც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით, ისე ინტეგრირების გარეშე. ინტეგრირებული ვერსია აერთიანებს 6 ინტეგრირებულ ზოგად მოდულს - 30 კრედიტს, 2 ზოგად მოდულს - 7 კრედიტს და 15 პროფესიულ მოდულს - 80 კრედიტს, მთლიანობაში 117 კრედიტს. ინტეგრირების გარეშე პროგრამა აერთიანებს 2 ზოგად მოდულს - 7 კრედიტს და 15 პროფესიულ მოდულს - 80 კრედიტს, ჯამში 87 კრედიტს. ასევე განსაზღვრულია ქართული ენის A2 და B1 მოდულების გავლის პირობები შესაბამისი კატეგორიის პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებისთვის. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება.

ინდიკატორი 2.1.1.8. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და დირექტორის 2026 წლის 18 ივნისის №2-65 ბრძანება პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, სარეგისტრაციო №06.2.1;
- სკოლის მისია და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება/არგუმენტირების ცხრილი;
- დირექტორის №2-59 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება/კონტინგენტის დასაბუთება;
- პროგრამის დანართი №25 - სასწავლო რესურსი და დანართი №26 - მატერიალური რესურსი
- პროგრამის N28.1 „ა“, N28.1 „ბ“ და N28.2 სასწავლო გეგმები ;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, სკოლის ბაზაზე. პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილია 20 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობა, მათ შორის ინტეგრირებული სასწავლო გეგმისთვისაც საერთო ზღვრული რაოდენობის ფარგლებში 20 ადგილი. პროგრამას დანართი №26-ის სახით განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. თუმცა მოცემული ინდიკატორის შეფასებისას გადამწყვეტია არა მხოლოდ ის, რა რესურსია პროგრამით განსაზღვრული, არამედ არის თუ არა აღნიშნული რესურსი რეალურად დაწესებულების მფლობელობაში და საკმარისი პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვითშეფასების ანგარიშში დაწესებულება თავად მიუთითებს, რომ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი ამ ეტაპზე სრულად მობილიზებული არ არის და რესურსის უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. პროგრამისთვის საჭირო მნიშვნელოვანი დარგობრივი აღჭურვილობა ჯერ შესაძენია. მათ შორის „დაგეგმილია შეძენა“ სტატუსითაა წარმოდგენილი ESD დამცავი საშუალებები, IP კამერები და IP ტელეფონები, NVR, ქსელური ადაპტერები, მარშრუტიზატორები, ქსელის ინსტრუმენტები და ტესტერები, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა შესაბამისი რესურსები. ანალოგიური მდგომარეობაა პროგრამის განხორციელებისთვის არსებითი ქსელური და კომპიუტერული ტექნიკის ნაწილშიც: დაგეგმილია შესაბამისი კომპიუტერების, Cisco Catalyst ტიპის კომუტატორების, მარშრუტიზატორების, მულტიმეტრის, მულტიფუნქციური პრინტერის, ოპერაციული სისტემის საინსტალაციო პაკეტების, პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილისა და სხვა რესურსების შეძენა. ასევე შესაძენადაა მითითებული პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი, სატელეფონო სადგური, UPS, ფლეშ-მეხსიერება და ქსელის პაჩკორდები. დაწესებულებას აღნიშნული ხარვეზი იდენტიფიცირებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში პრობლემის სახით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი არ არის მობილიზებული“. მის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია აქტივობა „პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის მობილიზება“, რომლის განხორციელების პერიოდი გეგმით განსაზღვრულია 2026 წლის ივნისი–ნოემბერი. აქტივობის საბოლოო შედეგის მტკიცებულებად განსაზღვრულია მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დამტკიცებულია დირექტორის №2-64 ბრძანებით. დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ივნისი–ნოემბრის პერიოდში, უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ გათვალისწინებული მატერიალური რესურსის სრულად მობილიზება და შესაბამისი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შექმნა/წარმოდგენა, მოთხოვნილი 20 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობისა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების გათვალისწინებით

ინდიკატორი 2.2.1.1.მეტწილად შესაბამისია

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებისთვის განსაზღვრული ადამიანური რესურსის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პროგრამისთვის მობილიზებულია ზოგადი, ინტეგრირებული და პროფესიული მოდულების შესაბამისი განმახორციელებლები. დირექტორის 2026 წლის 29 ივლისის №2-71 ბრძანებით ცვლილება შევიდა №2-65 ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამაში და ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა პროგრამის დანართი №27 ადამიანური რესურსი. ამგვარად, პროფესიული მოდულების მხოლოდ ერთ პირზე დამოკიდებულების თავდაპირველი რისკი განახლებული პროგრამის მიხედვით მნიშვნელოვნად შემცირებულია. ასევე, დარგობრივი ინგლისური ენის განხორციელებაში განსაზღვრულია ორი განმახორციელებელი, რაც დამატებით უზრუნველყოფს პერსონალის ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობას. განახლებული N27-ის მიხედვით, პროფესიული მოდულების განხორციელება რამდენიმე განმახორციელებელზეა გადანაწილებული. კერძოდ, „გაცნობითი პრაქტიკა - კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ განსაზღვრული აქვს ორ განმახორციელებელს, ხოლო დანარჩენი 12 ტექნიკური პროფესიული მოდული ასევე უზრუნველყოფილია ორი განმახორციელებლით. აღნიშნული განაწილება ამცირებს ცალკეულ განმახორციელებელზე დამოკიდებულების რისკს და უზრუნველყოფს მათი ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მათი დატვირთვის შესახებ დოკუმენტაცია. დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფაქტობრივად მობილიზებულია, ხოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული დატვირთვა არ აღემატება დადგენილ მაქსიმალურ კვირეულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დატვირთვას. შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და მათზე მოდულებისა და საათების განაწილება უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელი და მდგრადი განხორციელების შესაძლებლობას. თავდაპირველად შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ადამიანური რესურსის დამატებითი მობილიზების საჭიროება განახლებული N27-ით, ხელშეკრულებებითა და დატვირთვის დოკუმენტაციით ფაქტობრივად აღმოფხვრილია. შესაბამისად, ამ ეტაპზე ინდიკატორთან მიმართებით დამატებითი შესაბამისობის რეკომენდაციის გაცემა საჭირო არ არის.

ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განმახორციელებელი პირების შერჩევისას დაწესებულება ითვალისწინებს მათ განათლებას, კვალიფიკაციასა და პროფესიულ გამოცდილებას. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობით საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვრულია შესაბამისი მიმართულების არანაკლებ პროფესიული განათლება ან შესაბამის სფეროში სამუშაო გამოცდილება, ან შესაბამისი მიმართულების სერტიფიცირება. ამავე დოკუმენტით მასწავლებლის ფუნქციებში შედის სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება, სწავლის შედეგების შეფასება, შესაბამისი მტკიცებულებების შეგროვება და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია/ვერიფიკაციაში მონაწილეობა. 2026 წლის 29 ივლისის №2-71 ბრძანებით პროგრამის ადამიანური რესურსის დანართი №27 განახლდა და პროფესიული მოდულების განხორციელება რამდენიმე განმახორციელებელზე გადანაწილდა. განახლებული დანართის მიხედვით, „გაცნობითი პრაქტიკა - კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ განსაზღვრული აქვს ორ განმახორციელებელს. ერთ-ერთი მათგანის კვალიფიკაციად მითითებულია ფიზიკა-ინფორმატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ბაკალავრის ხარისხი და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უფროსი მასწავლებლის სერტიფიცირება. მეორე განმახორციელებელთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მითითებულია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უფროსი მასწავლებლის სერტიფიცირება. დანარჩენი 12 ტექნიკური პროფესიული მოდულის განმახორციელებლებად განახლებული №27-ით განსაზღვრულია ორი პირი. ერთ-ერთის კომპეტენციის საფუძვლად მითითებულია კომპიუტერული ტექნიკის მხარდაჭერის სპეციალისტის კვალიფიკაცია და შესაბამისი ცნობა, ხოლო მეორე პირის შემთხვევაში - ინჟინერიის მაგისტრის კვალიფიკაცია და დიპლომი. მათზე გადანაწილებულია კომპიუტერის აპარატურული უზრუნველყოფის, ქსელის ორგანიზების, Linux და Windows სერვერული სისტემების, კომუტაცია-მარშრუტიზაციის, ქსელური სერვისების, დამისამართებისა და პრაქტიკული პროექტის მოდულები.

ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ განმახორციელებელ პირებს აქვთ შესაბამის სფეროსთან დაკავშირებული განათლება ან კვალიფიკაცია. დაწესებულება თვითშეფასებაში მიუთითებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გამოცდილების არქონის გამო გეგმავს განმახორციელებელი პირების გადამზადებას პროფესიული განათლების თავისებურებების სასწავლო პროცესში გათვალისწინების მიზნით. აღნიშნული საჭიროება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაშიც არის ასახული: აქტივობა ითვალისწინებს ადამიანური რესურსის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის განვითარებას პროფესიული განათლების მიმართულებით გადამზადებას, მათ შორის სწავლებისა და შეფასების ნაწილში. აქტივობის განხორციელების ვადად განსაზღვრულია 2026 წლის ივნისი–ნოემბერი, ხოლო შედეგის მტკიცებულებად ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების ამსახველი დოკუმენტაცია. დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ივნისი–ნოემბრის პერიოდში, უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პროფესიული განვითარება პროფესიული განათლების სპეციფიკის, სწავლებისა და განსაკუთრებით სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით და შექმნას/წარმოადგინოს განხორციელებული განვითარების აქტივობების შესაბამისი მტკიცებულებები.

ინდიკატორი 2.2.1.3. მეტწილად შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო და სხვა მოთხოვნები განისაზღვრება დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტებით. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და აღნიშნული დასტურდება მის პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. ასევე პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული მოდულების განმახორციელებელიცაა. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაცით და გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაბამის სფეროსთან დაკავშირებული განათლება, კვალიფიკაცია და დარგში მრავალწლიანი გამოცდილება. დაწესებულება თვითშეფასებაში მიუთითებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გამოცდილების არქონის გამო გეგმავს განმახორციელებელი პირების გადამზადებას პროფესიული განათლების თავისებურებების სასწავლო პროცესში გათვალისწინების მიზნით. აღნიშნული საჭიროება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაშიც არის ასახული: აქტივობა - ადამიანური რესურსის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის განვითარება პროფესიული განათლების მიმართულებით, მათ შორის სწავლებისა და შეფასების ნაწილში. აღნიშნული აქტივობა განსაზღვრულია 2026 წლის ივნისი–ნოემბრის პერიოდისთვის. შესაბამისად, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ივნისი–ნოემბრის პერიოდში, უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული განვითარება პროფესიული განათლების სპეციფიკის, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით და შესაბამისი განვითარების აქტივობების დოკუმენტირება.

ინდიკატორი 2.2.1.4. მეტწილად შესაბამისია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დანართი №25-ის სახით თან ერთვის პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, რომელშიც რესურსები განსაზღვრულია შესაბამისი მოდულების მიხედვით. დანართში წარმოდგენილია როგორც მატერიალური გამოცემები/სახელმძღვანელოები, ასევე ელექტრონული რესურსები. პროფესიული მოდულებისთვის ჩამონათვალი მოიცავს უშუალოდ შესაბამისი მიმართულების სასწავლო მასალებს. მაგალითად, „მობილური და Linux ოპერაციული სისტემების“ მოდულისთვის მითითებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის, კომპიუტერული ქსელების, ვირტუალიზაციისა და Ubuntu Linux-ის სასწავლო რესურსები. „კომპიუტერული ქსელის სტრუქტურა და აგების პრინციპებისთვის“ კი განსაზღვრულია ქსელის ადმინისტრირების, კომპიუტერული ქსელებისა და WAN ტექნოლოგიების შესაბამისი რესურსები. თუმცა მოცემული ინდიკატორი მოითხოვს არა მხოლოდ პროგრამაში რესურსის მითითებას, არამედ მისი ფაქტობრივი ხელმისაწვდომობის დადასტურებასაც. ამ თვალსაზრისით თავად დაწესებულება თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნავს, რომ ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში მითითებული რესურსების ნაწილი სკოლაში ელექტრონული ან/და მატერიალური სახით მობილიზებულია, თუმცა რესურსი ჯერ არასრულადაა უზრუნველყოფილი. სწორედ აღნიშნული გარემოების გამო დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისად, პროგრამის №25 დანართით დასტურდება, რომ დაწესებულებას იდენტიფიცირებული და განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სასწავლო რესურსი, ხოლო არსებული რესურსის ნაწილი უკვე ხელმისაწვდომია, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით ყველა პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის სრულად მობილიზება და ხელმისაწვდომობა ჯერ არ დასტურდება. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულ საკითხს უკავშირდება: აქტივობა - „პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის მობილიზება და განვითარება“. გეგმის მიხედვით აქტივობის განხორციელება გათვალისწინებულია 2026 წლის ივნისი–ნოემბრის პერიოდში, ხოლო შედეგის სახით განსაზღვრულია სასწავლო მასალის განახლებული კატალოგი და ბიბლიოთეკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონული/მატერიალური ფონდი. შესაბამისად, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ივნისი–ნოემბრის პერიოდში, უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ გათვალისწინებული სასწავლო რესურსების სრულად მობილიზება, მათი ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით ხელმისაწვდომობა და შესაბამისი რესურსების ასახვა ბიბლიოთეკის განახლებულ კატალოგსა და ფონდში.

ინდიკატორი 2.2.1.5. მეტწილად შესაბამისია

6 . სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ არეგულირებს შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის საკითხებს. დებულების მიხედვით, ასეთი პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში სკოლა აფასებს მის ინდივიდუალურ საჭიროებებს და საჭიროების შესაბამისად უზრუნველყოფს სპეციალისტის მოწვევას, საჭიროებაზე მორგებულ საგანმანათლებლო რესურსს, სასწავლო პროცესში ინდივიდუალურ მხარდაჭერასა და სხვა შესაბამის ღონისძიებებს.

საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც გამოიყენება მისი საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების სახელმძღვანელოდ. ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით შესაძლებელია სწავლების მიდგომებისა და მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტების, თემატიკისა და საგანმანათლებლო რესურსების ადაპტირება ისე, რომ შენარჩუნდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები და კვალიფიკაციის მოთხოვნები. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სკოლა ქმნის ინკლუზიურ გარემოს და განსაზღვრული აქვს სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და საჭირო რესურსების ადაპტირების მექანიზმები.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტები როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული სასწავლო გეგმებისთვის. ბიუჯეტებში გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ძირითადი შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელთა ანაზღაურება, მასალა-ნედლეულის ხარჯები და სხვა მიმდინარე/ადმინისტრაციული დანახარჯები. დაწესებულებას ასევე განსაზღვრული აქვს პროგრამის რენტაბელობის ზღვარი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ფინანსური მიზანშეწონილობის წინასწარ შეფასებას. ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტები მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ დაწესებულებას წინასწარ აქვს დაგეგმილი პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები და განსაზღვრული აქვს დაფინანსების შესაბამისი მექანიზმი, რაც ქმნის პროგრამის ფინანსურად მდგრადი განხორციელების საფუძველს;

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და მისი დანართები - №25 (სასწავლო რესურსი), №26 (მატერიალური რესურსი), განახლებული №27 (ადამიანური რესურსი) და სასწავლო გეგმები №28.1/№28.2. პროგრამის №25 დანართით რესურსები მოდულების მიხედვითაა განსაზღვრული, ხოლო №27-ში ასახულია განმახორციელებლები, მათი კვალიფიკაცია და შესაბამისი მტკიცებულებები;
- დირექტორის №2-71 ბრძანებით განახლებული პროგრამის დანართი №27;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები - დიპლომები, პროფესიული/სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები, სერტიფიკატები და სხვა შესაბამისი დოკუმენტები; ასევე დირექტორის №2-60 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე, და პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა;
- პროგრამის დანართი №25 - სასწავლო რესურსი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი;
- დირექტორის №2-59 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“;
- ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტები 5-სტუდენტიანი რენტაბელობის ზღვრის დასადასტურებლად;
- დირექტორის №2-64 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი აქტივობების შესრულების მტკიცებულებები;
- პასუხისმგებელ პირებთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;

დაწესებულების მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ მიხედვით, პროგრამის შეფასება და განვითარება ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და გააუმჯობესე. პროგრამაში ცვლილებების დაგეგმვისას გათვალისწინებულია შიდა და გარე შეფასების შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილებები, დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები, შრომის ბაზრის მოთხოვნები, საკანონმდებლო სიახლეები, ახალი ტექნოლოგიები და სხვა შიდა თუ გარე ფაქტორები.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებში განსაზღვრულია დამსაქმებელთა კვლევა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების გამოვლენის მიზნით, პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების შესწავლა პროგრამის დასრულებიდან ექვს თვეში და მიღებული მონაცემების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება. პროგრამის შეფასების შედეგების საფუძველზე გათვალისწინებულია გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა, შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა და მათი განხორციელება.

დებულებაში საუკეთესო ადგილობრივი ან საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა პირდაპირ ცალკე ფორმულირებით არ არის მითითებული, თუმცა გარე შეფასების შედეგების, დარგში მიმდინარე ცვლილებებისა და ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინება ქმნის ამგვარი პრაქტიკის გამოყენების შესაძლებლობას. მიზანშეწონილია, პროგრამის შეფასებისას საუკეთესო პრაქტიკის მოძიებისა და შედარების საკითხი მომავალში უფრო მკაფიოდ აისახოს შეფასების ინსტრუმენტებსა და ანგარიშებში

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ განსაზღვრულია პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის, რეკომენდაციების შემუშავებისა და პროგრამაში ცვლილებების განხორციელების პროცედურები. პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია განიხილება პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული შესაბამისი პირების მონაწილეობით. გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები, იგეგმება შესაბამისი ღონისძიებები და საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ცვლილებები პროგრამაში ან მის ცალკეულ მოდულებში.

დებულება ასევე განსაზღვრავს, რომ პროგრამაში ცვლილებების საფუძველი შეიძლება გახდეს შიდა და გარე შეფასების შედეგები, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებები, დარგში მიმდინარე სიახლეები, შრომის ბაზრის მოთხოვნები, საკანონმდებლო ცვლილებები და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები. დაწესებულების ინიციატივით დასაშვებია პროგრამის მიზნის, სწავლის შედეგების, მოდულების, სასწავლო გეგმის, რესურსებისა და პროგრამის განხორციელების სხვა კომპონენტების ცვლილება კანონმდებლობითა და შიდა რეგულაციებით განსაზღვრული წესის დაცვით. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებში შედის პროგრამის განხორციელების ხარისხის მონიტორინგი, შეფასების შედეგების ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება და მათი წარდგენა დაწესებულების ხელმძღვანელისთვის. ასევე გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა.

პროგრამის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, შესაბამისად, ამ ეტაპზე არ არსებობს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების პრაქტიკული შედეგები ან მათ საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები. თუმცა დაწესებულებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრული აქვს შედეგების ანალიზისა და პროგრამის გაუმჯობესების შესაბამისი მექანიზმი, პასუხისმგებელი პირები და პროცედურები

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მარეგულირებელი დებულება;
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ვკომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავებულია სასწავლო გეგმები როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული ფორმით. ამასთან, გათვალისწინებულია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის განხორციელების შესაბამისი ვარიანტები. სასწავლო გეგმებში მოდულები განაწილებულია შესაბამისი თანმიმდევრობით და გათვალისწინებულია ინტეგრირებული პროგრამის განხორციელების სპეციფიკა.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზების მექანიზმს. კერძოდ, სალექციო განრიგი დგება უშუალოდ დამტკიცებული სასწავლო გეგმის საფუძველზე, განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა პროგრამის ადამიანური რესურსის დანართიდან, ხოლო განრიგის შედგენაზე პასუხისმგებელი პროფესიული განათლების კოორდინატორი ხელმძღვანელობს პროგრამით დამტკიცებული სასწავლო გეგმით. ამავე დებულებით განსაზღვრულია, რომ კალენდარული გეგმა და კურიკულუმი წარმოადგენს კონკრეტული მოდულის განხორციელების დაგეგმვის ინსტრუმენტს. პროფესიული და ზოგადი მოდულებისთვის შემუშავდება კალენდარული გეგმა, ხოლო ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისთვის კურიკულუმი.

ვინაიდან დაწესებულება მოცემული პროგრამის განხორციელების უფლებას პირველად მოიპოვებს და ვიზიტის პერიოდში პროგრამაზე სასწავლო პროცესი ჯერ დაწყებული არ იყო, ფაქტობრივად განხორციელებული სასწავლო პროცესის სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმასთან შედარება ამ ეტაპზე ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება ეფუძნება პროგრამის დამტკიცებულ სასწავლო გეგმებსა და დაწესებულებაში არსებულ სასწავლო პროცესის ორგანიზების მექანიზმებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით განსაზღვრულია შესაბამისი პროცედურები, რომლებიც პროგრამის დაწყების შემდეგ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად წარმართვას.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულების მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ განსაზღვრულია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა განსხვავებულ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმები. დაწესებულება გეგმავს სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგს და პროფესიულ სტუდენტებთან უკუკავშირის საფუძველზე მათი ინტერესებისა და საჭიროებების გამოვლენასა და შესაბამის რეაგირებას. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობით პირდაპირ არის განსაზღვრული ვალდებულება, სწავლების პროცესში გაითვალისწინოს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური და შემხვედრი საჭიროებები და მოქნილად მოახდინოს მათზე რეაგირება. ამასთან, პროფესიული განათლების კოორდინატორის ფუნქციებში შედის სასწავლო პროცესის დაგეგმვა და კოორდინაცია, სასწავლო ცხრილების შემუშავება, პროფესიულ სტუდენტთა დასწრების მონიტორინგი და შესაბამის პირებთან კომუნიკაცია. დებულება ასევე ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისად პროგრამის ცალკეული კომპონენტის ინდივიდუალურ რეჟიმში გავლის შესაძლებლობას. აღნიშნული მექანიზმი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მათ შორის, სტატუსის აღდგენის, ცალკეული კომპონენტის გაუვლელობის, ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარებისა და მობილობის შემთხვევებში. ასეთ დროს სასწავლო პროცესის დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. გარკვეულ შემთხვევებში დაშვებულია მოდულის ინტენსიურ რეჟიმში გავლაც, სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დატვირთვის მოცულობისა და მოდულის მოთხოვნების შენარჩუნებით. შესაბამისად, დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით შექმნილია მექანიზმები, რომლებიც იძლევა პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური მდგომარეობისა და შემხვედრი საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის მოქნილად ორგანიზების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ორიენტირებულია თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებაზე. პროგრამაში გათვალისწინებულია კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის, კომპიუტერული ქსელების მონტაჟისა და გამართვის, კომუტაცია-მარშრუტიზაციის, Windows და Linux სერვერული სისტემების, ვირტუალიზაციის, ღრუბლოვანი პლატფორმების, VoIP-ისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებული მოდულები. პროგრამა ასევე მოიცავს გაცნობით პრაქტიკასა და პრაქტიკულ პროექტს, რაც პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას ემსახურება. დაწესებულების შიდა დებულება იძლევა სწავლების მიდგომების, მეთოდების, თემატიკისა და საგანმანათლებლო რესურსების განახლების შესაძლებლობას იმ პირობით, რომ ცვლილება უკეთ გაითვალისწინებს სწავლების უახლეს მეთოდებსა და დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დაწესებულების მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებისა და შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმები. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობითაც პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ სწავლების პროცესში მასწავლებელი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ და შემხვედრ საჭიროებებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოქნილად რეაგირებს მათზე. შშმ ან/და სსსმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში დებულება ითვალისწინებს სტუდენტის მდგომარეობისა და საჭიროებების შესწავლას და, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლოა ითვალისწინებდეს პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციას ან აკომოდაციას, მათ შორის სწავლებისა და შეფასების მიდგომების მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე. ამავე მექანიზმით განისაზღვრება საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებაც. დებულებით ასევე განსაზღვრულია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება სსსმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების სახელმძღვანელოდ, ხოლო მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრული მისაღწევი სწავლის შედეგების ფარგლებში. ამასთან, კრედიტის მინიჭება დაკავშირებულია შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურებასთან. დაწესებულება ასევე ითვალისწინებს სასწავლო რესურსის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას .

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სასწავლო გარემოში. პრაქტიკის ობიექტს არ საჭიროებს.

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ზოგადი უსაფრთხო სასწავლო გარემო, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელდება სკოლის შენობაში, იმიტირებულ სამუშაო გარემოში.პროგრამის დარგობრივი სპეციფიკა არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებულ პირობებს, თუმცა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია კომპიუტერულ ტექნიკასთან, ელექტრომოწყობილობებთან, ქსელურ მოწყობილობებსა და სამუშაო ინსტრუმენტებთან უსაფრთხოდ მუშაობის მოთხოვნები. პროგრამის სწავლის შედეგები და მოდულები უშუალოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ითვალისწინებს უსაფრთხოების ნორმების დაცვას. გაცნობითი პრაქტიკისა და პრაქტიკული პროექტის ფარგლებში პროფესიულმა სტუდენტმა სამუშაო გარემო უნდა მოაწყოს უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით და დაიცვას დაწესებულების შიდა და დარგობრივი წესები. პროგრამა ასევე მოიცავს მოდულს „კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა“, რომელიც ორიენტირებულია შესაძლო აპარატურული და პროგრამული რისკების გამოვლენასა და პრევენციაზე. დაწესებულების შიდა რეგულაციით გათვალისწინებულია პირველადი დახმარებისთვის საჭირო სივრცისა და შესაბამისი აღჭურვილობის არსებობა, კვალიფიციური პირის მიერ პირველადი დახმარების გაწევა და საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პირების მხარდაჭერა. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებში ასევე შედის სწავლის დაწყებამდე სასწავლო ლაბორატორიისა და კლას-კაბინეტების მზადყოფნის შემოწმება. წარმოდგენილი დოკუმენტაციით განსაზღვრულია უსაფრთხოების ზოგადი და პროგრამის სპეციფიკასთან დაკავშირებული მექანიზმები. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული მოთხოვნების პრაქტიკული დაცვა, მათ შორის ელექტრომოწყობილობების გამართულობა, კაბელებისა და ქსელური მოწყობილობების უსაფრთხო განთავსება და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების წესების შესახებ ინფორმირება.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დირექტორის №2-59 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“;
- დირექტორის №2-60 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა;
- სასწავლო რესურსის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ადაპტირების მექანიზმი;
- ინტერვიუს დეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ დეტალურად განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემას. შეფასება შეიძლება იყოს განმავითარებელი ან განმსაზღვრელი, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ეფუძნება კომპეტენციის დადასტურების პრინციპს „სწავლის შედეგი დადასტურდა“ ან „სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა“. შეფასების ფორმები და მეთოდები განისაზღვრება შესაბამისი მოდულებითა და სწავლის შედეგებით. დებულების მიხედვით, შეფასების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს ხუთ ძირითად პრინციპს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. ვალიდურობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველსაყოფად შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს შესაბამისი კონკრეტული სწავლის შედეგის დასადასტურებლად და იძლეოდეს ყველა შეფასების კრიტერიუმის შემოწმების შესაძლებლობას. სანდოობა ეფუძნება შეფასების მტკიცებულების შესწავლას, ხოლო ობიექტურობა გულისხმობს ერთნაირი შესრულების ერთნაირად შეფასებას. გამჭვირვალობისა და სამართლიანობის მიზნით პროფესიული სტუდენტისთვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი შეფასების პირობები, მოთხოვნები, კრიტერიუმები და შედეგების დადასტურების პროცედურები, ხოლო ყველა შესაფასებელი პირი უნდა იმყოფებოდეს თანაბარ პირობებში. დებულება ასევე ითვალისწინებს დამატებითი შეფასების შესაძლებლობასა და შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურას. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს დამატებითი შეფასებით პროგრამის დასრულებამდე და გაასაჩივროს მიღებული შედეგი დადგენილი წესით, რაც შეფასების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას დამატებით უზრუნველყოფს. პროგრამის ძირითად დოკუმენტშიც განსაზღვრულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, სწავლის შედეგების დადასტურებისა და კრედიტის მინიჭების პირობები. დამტკიცებული რეგულაციებით შეფასების სისტემა სრულად არის გაწერილი და ითვალისწინებს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის შესაბამის მექანიზმებს

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცებულია „პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელშიც განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას. ვერიფიკაციის პროცესში, დაწესებულების მიერ აღწერილი მექანიზმის შესაბამისად, შესაძლებელია ჩართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი დარგის/პროფესიული მოდულის განმახორციელებლები, მოწვეული დარგის სპეციალისტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვა შესაბამისი პირები. დაწესებულების შიდა რეგულაციით პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს განსაზღვრული აქვს ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების უზრუნველყოფის ფუნქცია, ასევე შედეგების ანალიზისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული ფუნქცია ასახულია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამუშაო აღწერილობაშიც, რომლის მიხედვითაც იგი ახორციელებს შეფასების პროცესის ვერიფიკაციას დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა ითვალისწინებს მის მონაწილეობას შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ განსაზღვრულია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, უწყისებისა და მტკიცებულებების აღრიცხვის, მიკვლევადობისა და შენახვის წესი. პროფესიული განათლების მასწავლებელი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასებისას მტკიცებულებების შეგროვებას და მათ საფუძველზე შეფასების უწყისის შევსებას.

შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით, რომელსაც აწარმოებს პროფესიული განათლების კოორდინატორი. ჟურნალი მოიცავს პროგრამის, ჯგუფის, მოდულის, შეფასების უწყისისა და შესაბამისი მტკიცებულებების მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას. კოორდინატორი პასუხისმგებელია მტკიცებულებების სათანადო შენახვასა და მიკვლევადობაზე. დებულების მიხედვით, შეფასების პროცესში შეგროვებული მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის განმავლობაში. შეფასებისა და დამატებითი შეფასების უწყისები პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პროფესიული განათლების კოორდინატორთან, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება უვადოდ. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მტკიცებულებების შეგროვების, აღრიცხვის, შენახვისა და მიკვლევადობის შესაბამისი პროცედურები და პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები გამოყენებული უნდა იყოს მისი შემდგომი განვითარების დაგეგმვისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქციებში შედის სტუდენტის კონსულტირება, შეფასების შედეგებზე უკუკავშირის მიწოდება და საჭიროების შემთხვევაში სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურების ორგანიზება. აღნიშნული მექანიზმი საშუალებას იძლევა, შეფასების შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების მიხედვით სტუდენტს გაეწიოს დამატებითი მხარდაჭერა და მიეცეს კონკრეტული მიმართულებები შედეგის გასაუმჯობესებლად. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარების მიზნით. ამ პროცესში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს განმავითარებელი შეფასება, ინდივიდუალური კონსულტაცია, დამატებითი დავალებები, განმეორებითი შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური მხარდაჭერის სხვა ღონისძიებები. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებში შედის შეფასებისა და მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგი, რაც ქმნის საფუძველს, რომ შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ სტუდენტის ინდივიდუალური განვითარების, არამედ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვისაც. დაწესებულებას შესაბამისი მექანიზმები და პასუხისმგებლობები განსაზღვრული აქვს.

ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- დებულება;
- პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა;
- პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თარიღი
13.08.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: